გაზეთის ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877— 1893


## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს_

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

## ტფილისი

22 სექტემბერს

—

მას შემდეგ, რაც რუსული მართვა-გამგეობა დამკვიდრდა საქართველოში, ისეთი ომი არა ყოფილა გარეშე მტერთან, რომ ქართველს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს. მთის ხალხთან ბრძოლაში ქართველმა, განურჩევლად წოდებისა, სახელი გაითქვა და დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა. ქართველის ღვაწლს სამხედრო სარბიელზე უმაღლესი მთავრობა ყოველთვის აფასებდა და სრულის ნდობითაც ეპყრობოდა ჩვენს მხედრობას.

ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ქართველის კაცის გმირობა და ვაჟკაცობა ომში ძველის-ძველადგანვე ცნობილია და თავისი დღენი ქართველმა ერმა სულ მტერთან ბრძოლაში დალია. ისტორიამ, ტრადიციამ და სამხედრო აღზრდამ ქართველისაგან შექმნა თითქმის ლეგენდარული მხედარი, მეგობარი, თავ-მომწონე, მხნე, მამაცი და ჭირსა შიგან განუტეხელი.

ქართველთ მეგობარი მუდამ იჩენდა ამ ისტორიით მოპოვებულს თვისებას; ვერც ერთს ომს ოსმალ-სპარსელებთან და მთის ხალხთან ვერ დაგვისახელებთ, სადაც ქართველს ედალატნოს თავის სახელისათვის. კაცი განცვიფრდება, ოდეს კითხულობს ბ-ნ ვოლკონსკის მიერ დაწერილ ჩვენის ქართველთ „დრუჟინის“ ისტორიას! ძნელია, კალმით გამოჰხატო და სავსებით დაასურათო, რამდენი მხნეობა და თავ-განწირულება გამოუჩენია დრუჟინის უბრალო ჯარის-კაცსაც-კი. ამას თვით „დრუჟინის“ ისტორიკოსი მჭევრ-მეტყველი ბ-ნი ვოლკონსკიც ვერა გისრულობს.

ასე მიდიოდა დრო და ჟამი 1886 წლამდე. ყოველთვის, როცა-კი დაისაჭიროებდა მთავრობა ქართველ კაცის ხმალს მტერთან საბრძოლველად, დაუზარებლივ მიდიოდა ლაშქარში და, როგორც ქვეყანამ იცის, პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. დევიზი: განუსაზღვრელი უუქვეშევრდომილესი ერთგულება ხელმწიფეს და მსხვერპლის შეწირვა სამშობლოსადმი,—არასოდეს შებღალული არა ყოფილა.

1886 წელს უმაღლესმა მთავრობამ საჭიროდ დაინახა შეეცვალა წესი სამხედრო სამსახურისა: ხან-გამოშვებით სამსახურის მაგიერ, დააკანონა მუდმივი სამსახური ჯარში, სწორედ ისე, როგორც თვით შიდა რუსეთშია. ამ წელს სამხედრო ბეგარა სიფრთხილით შემოიღეს, ბევრი შეღავათი მიენიჭა ქართველობას, ტანისამოსი ჩვენებური დასტოვეს, ხუთის წლის მაგიერ—სამი წელიწადი განუწესეს აქაურ მკვიდრს; ამსახურებდნენ ცალკე დრუჟინებში, სადაც ნახევარზე მომეტებული ნაწილი ქართველი აფიცრობა იყო, რომელთაც სამსახურს სამშობლოენის შემწეობით ასწავლიდა ჯარის-კაცთ და სხვ.

შვიდი-რვა წლის გამოცდილებით უმაღლესი სამხედრო მთავრობა დარწმუნდა, რომ აქაური მკვიდრი ადვილად და მალე ითვისებს სამხედრო საქმეს და ერთგულად ასრულებს სამსახურს, ასე რომ ადგილობრივმა დრუჟინებმა მრავალჯერ დაიმსახურეს მადლობა სამხედრო წოდების წარჩინებულთა მოღვაწეთაგან.

დღეიდან სამხედრო ბეგარა აქაურ მკვიდრისათვის ძირეულად შეიცვალა. ამ წლის 24 მაისს, უმაღლესად დამტკიცებულ განკარგულების ძალით, აქაურნი მკვიდრნი, სამის წლის მაგიერ, მოვალენი არიან იმსახურონ ხუთი წელიწადი, როგორც რუსეთში; ამიერითგან დრუჟინებში ნახევარი რომ ქართველი იყოს, ნახევარი—რუსნი იქმნებიან. აქამდე თუ ჩვენები ადგილობრივ მსახურობდნენ, დღეის შემდეგ შეიძლება გადაყვანილ იქმნან კასპიის ზღვის იქითა მხარესაც.

აქ არ შეგვიძლიან ხელ-მეორედ არ გავიმეოროთ ისა, რაც წერილის თავში მოვიხსენიეთ. ქართველი კაცი ხამი არ არის ომისა, მტერს ზურგს არ უჩვენებს, მაგრამ სამხედრო ბეგრის ატანა უცხოეთში მეტის-მეტი მძიმე ტვირთი იქნება მისთვის: სხვაგან, სამშობლოს მოშორებით, უცხო ენის უცოდინარი, შეუჩვეველ ჰავაში, ადვილად დაიჩაგრება და, ვინ იცის, ეგებ დაჰკარგოს ის სამხედრო ღირსებანი, რომლითაც სამართლიანად თავი მოაქვს და ურომლისოდაც ფასი და მნიშვნელობა დაეკარგება.

ამ მოსაზრების ძალით, სასურველია, რომ უმაღლესი სამხედრო მთავრობა კეთილ ინებებდეს და ძველს წესს არ შესცვლიდეს: აქაურმა მკვიდრმა სამხედრო ბეგარა მოიხადოს აქვე და არა სხვაგან, რადგან, შეიძლება, უცხოეთში მისი სამსახური ფუჭი გამოდგეს. აქ-კი, დარწმუნებული ვართ, სასარგებლო და ნაყოფიერი იქნება.

ფრონელი

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

ქალაქში ერთი ავადმყოფი იყო; 21-ს სექტ. ავად გახდა ერთი. ესენი ორივე გარდაიცვალნენ და გუშინ დილით ტფილისში სულ ერთი ხოლერით ავადმყოფი-ღა დარჩა, რომელსაც სამხედრო საავადმყოფოში სწამლობენ.

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ ტფილისიდგან ყარსს გაემგზავრა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი, რომელიც აკურთხებს იქ ახლად აგებულს სობოროს.

*** გუშინ მთავრობისაგან დანიშნული საგანგებო კომისია შეუდგა ტფილისის ტელეფონების მიღებას ტელეფონების გამმართველ მეხანიკ ივანოვისაგან.

*** ტფილისის გუბერნატორის ბრძანებისამებრ ყარაიაზში გაგზავნილ იქმნა ბეითალი მეშჩერისკი საქონელზე გაჩენილ თურქულის მოსასპობლად.

*** ახალციხის მაზრის ექიმი აუწყებს საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილებას, რომ ამ სექტემბრის თთვეში აქ თავი იჩინა ყელ-ჭირვებამა და ხუნაგმა. ამ სნეულობით 9 ადამიანი გახდა ავად; ამათში 3 უკვე გარდაიცვალა და 6 იქვე ავად იმყოფებაო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამართველო მოწადინებულია მეორე ლიანდაგის დაგებას ბაქოდგან ბათუმამდე. მისის აზრით მეორე ლიანდაგს დიდი ხარჯი არ დასჭირდება. ნავთის მილის გაყვანამ მეტად შეამცირა შესავალი გზისა, რომელიც მთავრობას 150 მილიონი მანათი დაუჯდა. ნავთის მილის გაყვანის საქმეს სახელმწიფო საბჭო განიხილავს პირველსავე სესსიაში.

*** გუშინღამ თავის სახლში თავი მოიკლა რევოლვერით ტფილისის საგუბერნიო მმართველობის ჩინოვნიკმა იაკობ ალექსეევმა, რომელიცა სცხოვრობდა მოსკოვის ქუჩაზე საკუთარ სახლში. მიზეზი თავის კვლისა ჯერ არავინ იცის.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტფილისში იაფ-ფასიან სასადილოებს ღარიბთათვის თავის მფარველობაში მიიღებს ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე, მთავარ-მართებლის მეუღლე,

## ფელეტონი

—

### ევროპიდან

თავისუფლება მოქალაქობრივი, ეროვნული და სოციალური—აი თავი და ბოლო დღევანდელის ევროპის სურვილისა, ქვა-კუთხედი მისის იდეალისა. ცხოვრების ყველა მავთულს ამ სამს სასურველ სატრფიალოსთან მოუყრია თავი, ეს სამი ნატვრის თვალია დღეს საძებარი. და, თუ ამ სამში ერთი თვალი იპოვნა ერთმა, ორი—მესამემ, სამივე ერთად ჯერ ვერც ერთს ვერ უპოვნია. მაგრამ იქ თითო-ოროლა ერი ისეთიცაა, რომ ვერც ერთი მათ შორის ხელში ვერ ჩაუგდია, თუმცა თავ-დაუზოგველად იბრძვის და მხნედ მუშაობს. ეტყობა მეტად უზარმაზარი რამ უნდა იყოს ის გველეშაპი, რომელსაც უნდა წაჰგლიჯოს ერმა ერთ-ერთი, ან სამივე ნატვრის თვალი. დიალაც, რომ უზარმაზარია, გწოლილა საზოგადო ცხოვრების მორევში და ხან თავს ანძრევს, ხან ბოლოს და მით მდორე, ხავსმოკიდებულ ცხოვრებას ამღვრევს, ახალისებს ამრავალფერებს; საზოგადოებას ძილს უფრთხობს და მის წყლულს და ვარამს თვალწინ უყენებს: გინდა თუ არა მომაქციე ყურადღებაო. მაგრამ იშვიათად შენძრეულა ის მთელის თავის არსებობით, მთელის თავის ძალ-ღონით. მხოლოდ დღეს ვხედავთ, რომ ეს სამი სურვილი ერთად აღძრულა და მაჯლაჯუნასავით თავს დასწოლია მთელ დასავლეთ ევროპას და სულს და გულს უხუთავს. საკმარისია თვალი გადავავლოთ ამ ერთ თთვეში მომხდარ ამბებს, რომ ეს გარემოება თვალ-საჩინოდ შეიქმნეს.

არეულობა ისპანიაში (სან-სებასტიანსა და შანტბლონში), რევოლიუცია ბრაზილიაში (7 სექტ.), აჯანყება ბელგიაში დაწყებული იყო სრულის მოქალაქობრივის თავისუფლების მოპოვებისათვის.

პოლონელთა აგიტაციას სილეზიაში, სლავიანების ტომთა მოძრაობა ავსტრი-ვენგრიაში და ირლანდიის საქმე—მიმართულია უმთავრესად ეროვნულის თავისუფლების მოსაპოვნელად. აქ ნათლად გამოირკვა ერთი საგულისხმიერო გარემოება: დამმორჩილებელი, გაბატონებული ერი ძნელად ანიჭებს თავისუფლებას დამორჩილებულ, დაჯაბნებულ ერს. ამას გვიმტკიცებს ირლანდიის საქმის ბედი ინგლისის ლორდთა პალატაში. პირველად ცხადია ის, რომ გლადსტონს დასის უმრავლესობა შესდგება არა ინგლისელთა წყალობით, არამედ ინგლისელთა და ირლანდიელთა ერთად შეერთებით. მოაცილეთ ირლანდიის დეპუტატები გლადსტონის და დაგრჩებათ უმცირესობა. მაშასადამე, ირლანდიის თავისუფლების მომხრე ინგლისის მცხოვრებთა უმრავლესობა არ ყოფილა. ამიტომ წინდაწინვე მოსალოდნელი იყო, რომ ლორდთა პალატა უარ-ჰყოფდა გლადსტონის წინადადებას. ასეც მოხდა. ამის პასუხად ამერიკაში დასახლებულმა ირლანდიელებმა პროკლამაცია დაჰბეჭდეს და მიჰმართეს თანამემამულეთა: არასოდეს ინგლისი, დღევანდელი ჩვენი ბატონი, არ მოგვანიჭებს თავისუფლებას, ამისათვის მიუცილებელი საჭიროებაა, ყველანი შევერთდეთ და იარაღით ხელში მივმართოთ სამშობლოს განთავისუფლებასაო.

უფრო შესანიშნავია და საყურადღებო ამბები სოციალურის თვისებისა. ეს საქმე მეტად რთული და ღრმად ფესვებ გამდგარია: წარმატებულს კაცობრიობას უნდა, რომ მოისპოს ბრძოლა ლუკმა-პურისათვის და უფრო სამართლიანად მოეწყოს ნივთიერი, ქონებრივი ყოფა-ცხოვრება ადამიანთა. აი ეს არის დედაძარღვი სოციალურის თავისუფლებისა. ამ გზაზედ გამოვიდა ევროპის მუშა ხალხი და დიდის ძლიერებით ემუქრება ეხლანდელს წეს-წყობილებას. მუშათა გაფიცვა და არეულობა ჩვეულებრივი ამბავია ევროპაში, მაგრამ არასოდეს ისეთი დიდი და საყოველთაო მოძრაობა არ ყოფილა ამ მხრით, როგორც დღეს არის. ქვა-ნახშირის მადნების მუშებმა მთელს ინგლისში ხელი აიღეს მუშაობაზედ (700,000 კაცია); ამათ მხარი მისცეს ბელგიის მუშებმა და და გაიფიცნენ ისინიცა. ამის გამო აირია წარმოება ინგლისში, ბევრგან რკინის გზებზე შესწყდა მისვლა მოსვლა მატარებელისა უნახშირობის მიზეზით, მრავალი ქარხნები გაუქმდა და მუშა ხალხი იქაც უსაქმოდ დარჩა. ნახშირის ფასმა ერთი-ორად აიწი. ამით ისარგებლეს საფრანგეთის მექარხნეებმა და ძვირფასად გაანაღდეს თავიანთი საქონელი. მაშინ საფრანგეთის მუშებმა მოსთხოვეს პატრონებს: რაკი ნახშირის ფასმა აიწია და ისეთი ხეირი გაქვთ, ფასიც მოგვიმატეთო. ამაზედ უარი მიიღეს და აი დღეს—4 სექტემბერს მოხდა შესანიშნავი გაფიცვა: მთელის საფრანგეთის ქვა-ნახშირის მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა. ამბობენ, ავსტრი ვენ-

ამ დღეებში ტფილისს დაბრუნდე-ბა და დანიშნავს საზოგადო კრე-ბას საქველ-მოქმედო საზოგადოების წევრთა.

*** მცხეთა: ჩვენმა ახალგაზდა მხატვარმა ალექსანდრე რომანოზის ძე მრევლიშვილმა თავისი პირველი მხატვრობა—„ჯვარცმა ქრისტესი“ შესწირა თავის სამშობლო სოფლის ეკკლესიას.

სურათს ორ-არშინ-ნახევარი სი-გრძე აქვს და ორ-არშინამდე სიგა-ნე. სურათი მომავალ ოქტომბერს სამხატვრო გამოფენაზე იქმნება ტფი-ლისში და შემდეგ გამოიგზავნება მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძარში.

*** ქიზიყი: ამ თთვის თხუთ-მეტს დაიწყო რთველი წინამხარში, სადაც საუკეთესო ღვინო მოდის, და უმრავლესობამ ორ-სამ საათში გაა-თავა ყურძნის კრება. წლევანდელი ღვინის მოსავალი შარშანდელის მე-ოთხედიც არ იქმნება, ხოლო ღვი-ნო-კი შარშანდელს ემჯობინება ღი-რსებით, მაგრამ მაინც ბზის ფასად გაიტაც-გამოიტაცებენ.

*** ახალქალაქი: წელს ზაფ-ხულს ყარსის ახლო დიდი ალლუმი იყო ჯარებისა. ალლუმში მონაწილეობა მიიღეს დრუჟინებმაც და ძალიანაც ისახელეს თავი. ამ ჟამად ჯარები თავ-თავიანთ ბინაზე დაბრუნდნენ. ახალქალაქზედ გამოიარა გორის დრუ-ჟინამ, რომელიც პირდაპირ ბორ-ჯომის მთით გადავიდა. მერე გამო-იარა ფოთის პოლკმა. ეს პოლკი გაივლის ახალციხეზე, აბასთუმნის მთა-ზე გადავა და თავის ბინაზედ მივა.

## მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო საბჭომ, თანახმად სამხე-დრო სამინისტროს კანცელარიის უფრო-სის აზრისა, 27 მაისს 1893 წლის ჟურნალით, დაადგინა: განმარტებულ იქმნას, რომ, სამხედრო კანონთა კრე-ბულის მე-XVIII წიგნის 44 მუხ. მა-ლით, ვაჭრობის დროს, უკეთუ დაბე-ჭდილი განცხადებანიც მიიღება, ყოველ მსურველს შეუძლიან ერთს ვაჭრობაზედ მხოლოდ ერთი განცხადება წარადგინოს და ამასთან შეთანხმებით შეცვლილ იქმ-ნას რედაქცია 1869 წლის სამხედრო კანონთა კრებულის მე XVIII წიგნის 44 მუხლი, ამ რიგად:

„დაბეჭდილ განცხადების წარმომდგე-ნელს აღარ შეუძლიან მეორე განცხადება წარადგინოს, ანუ უკვე წარდგენილი უკან მოითხოვოს. უკეთუ დაბეჭდილ განცხა-დების წარმდგენელს რაიმე მიზეზით აღარა სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან იმ ვადამდე, ვიდრე დაბეჭდილი განცხადებანი მიიღებიან, ცალკე ქაღალდით ითხოვოს გაუქმება მის დაბეჭდილ განცხადებისა. ხელის მოწერა თხოვნაზედ უნდა შემოწმებულ იქმნას კანონიერად. ეს თხოვნა გაიხსნე-ბა სხვა დაბეჭდილ განცხადებებთან ერთად. დაბეჭდილ განცხადების მიმცემს არ შე-უძლიან მონაწილეობა მიიღოს სიტყვიერ ვაჭრობაში და მის-მიერ გამოცხადებულ ფასს არავითარი მნიშვნელობა არ ექმნე-ბა.“

ეს დადგენილება სამხედრო საბჭოსი დამტკიცებულ იქმნა სახელმწიფოსაგან 11 ივნისს ამა წლისა.

## დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი

ბედოვლათობა მდიდარისა სასაცილოდ აგდებაა მშიერ-მწყურვალისა.

ბუასტი

**

ერთი სიტყვა გადაგვიხსნის ხშირად ხოლმე მთელს სიღრმეს გულისას, მთელს ღონეს სულისას.

ეშენბახი

**

ჭკუა ჩვენი მუზარადია, მასვილობა მარტო ფრთაა მუზარადისა.

იუნგი

## კორესპონდენცია

**სოფ. ბაკურციხე** (ქიზიყი), 18 სექ-ტემბერ. ქიზიყელი მტკიცედ ასრულებს მრავალ გვარ მამა-პაპურ ჩვეულებას. ასრულებს და იმას-კი აღარა კითხუ-ლობს, ყოველი ჩვეულება ეხლანდელს დროშიც გამოსადეგია, თუ მავნებე-ლი. მაგალითად ავიღოთ ვენახების დაკრეფის დრო—რთველი. ხალხს ჩვეულებადა აქვს, რომ რთველი ალა-ვერდობის შემდეგ (14-ს სექტემბერს მოდის ალავერდობა) უნდა იყოს. ალავერდობის წინად ყურძენი დამ-წიფებულიც რომ იყოს, მაინც ვერა-ვინ გაჰბედავს ვენახის დაკრეფას, რა-დგანაც ეს დიდ ცოდვად მიაჩნია. მოიცდიან ალავერდობამდე და მეო-რე დღესვე მრავალნი შეუდგებიან კრეფას, კარგადაც რომ არ იყოს ყურძენი დამწიფებული, რომ უთხ-რათ—ჯერ დამწიფებული არ არის და ასე ადრე რათა ჰკრეფავთო,— ისინი მაშინვე გიპასუხებენ: ალავერ-დობა ხომ გავიდაო. შარშანდელი ამინდი სულ სხვა იყო და წელს სხვაო—ეუბნებით, მაგრამ, ისინი მა-ინც თავისას არ იშლიან.

ერთისა და იმავე მამულის ღვინო რატომ ყოველ წლივ ერთის გემოსი და ღირსებისა არა დგება? აი ამის ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ყოველს წლივ ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე ამინდი არ არის და ამიტომ ერთსა და იმავე დროს არც უნდა დაიკრიფოს ვენა-ხები. ხშირად ჩვენში ხან ორის კვი-რის წინად დამწიფდება ყურძენი და ხან გვიან. წელს ცოტა უფრო გვიან დამწიფდა ყურძენი და მარცვალი შარშანდელზედ მომცრო აქვს. ამის მიზეზი ის არის, რომ თავის დრო-ზედ შესაფერი ამინდი არ დაუდგა: როცა წვიმის დრო იყო, მაშინ გვალ-ვა დაიჭირა და, როცა დამწიფების დრო—მაშინ წვიმა მოდიოდა. ჩვენ-ში თუმცა არიან გამოცდილნი მემა-მულენიც და იციან დაახლოვებით, რომელს წელს რა დროს უნდა და-კრეფა, იმ დროს ჰკრეფავენ კიდეც, მაგრამ უმეტესი ნაწილი ჩვენის ხალ-ხისა სულ ამას გაიძახის: როგორც გვიწირავს, ისევ ისე უნდა ვწირო-თო.

რთველი დაიწყო კიდეც. როგორც ეტყობა, წელს ვაზს მცირე გამოსა-ვალი ექმნება, რადგანაც მარცვალი წვრილი აქვს. საზოგადოდ-კი სიღ-ნაღის მაზრაში უფრო მეტის მოსავ-ლის იმედია, ვიდრე თელავისაში, რადგანაც იქ უფრო მეტი სოფლები დაისეტყვა ვიდრე ჩვენში.

დაიწყო რთველი და უცხო ხალ-ხიც მოაწყდა: ყურძენსა და ტკბილს ეზიდებიან. მოვალეს მიაქვს ყურძე-ნი ფეშქაშად და ტკბილი სარგებელ-ში. აბა მოსავალს რაღა ბარაქა უნ-და ჰქონდეს?!.

## ხალხური ლექსი

(მეთვალყურეს-მიერ ჩაწერილი)

ჭირი მოგჭამოს დედამა,
შვილო, თავ-შეუდებელო,
დაჭრილო და დაკუწულო,
თავს წამალ-დაუდებელო.

—

ენითა მუნჯი სჯობია
ცუდ მეტყველ მოუბარსაო,
ათასი მტერი სჯობია
ერთს სულელ მეგობარსაო.

—

იცოდე, კუტი სჯობია
ცუდს გზაზე კაცსა მავალსო,
ქვემძრომი გველი სჯობია,
ქვეყნის საქმისა მცარავსო.

## რუსეთი

Петерб. Лист.-ის თანამშრომე-ლი წასულა კრონშტადტს საკუთრად იმისთვის, რომ შეეკრიბა ცნობა და გაეგო იქაურების აზრი „რუსალკის“ დაღუპვის შესახებ.

კრონშტადტის ნავოსანთა კლუბში ქაღალდის თამაშობასა და სხვა ნაირ გართობაზედ აღარავინ ჰფიქრობს. ყველანი სულ „რუსალკა“-ზედ ლა-პარაკობენ.

— დიაღ, ნახევარი საუკუნე გავა-ტარე, — სთქვა თვალ-ცრემლიანმა კონტრ-ადმირალმა, და ამისთანა არც არა მინახავს-რა და არც არა გამი-გონია-რა. იყო ისეთი შემთხვევა, რომ გემი 1000 კაცით დაიღუპა, ხოლო მნახველი მაინც იყო ვინმე; ყველამ იცოდა სად და როგორ და-იღუპა, რისგან გადაბრუნდა გემი და სხვა. აქ-კი რაღაც უცნაურობაა. იქ-ვე ნაპირთან, თითქმის ჰაობში დაი-კარგა სამხედრო გემი და კვალიც-კი არსადა სჩანს. ერთი კვირა გავიდა და ვერა შევიტყეთ-რა.

— ამბობენ, ძველი იყო გემი, წყალი შესდიოდა—უთხრა ვიღამაც.

— ძველი იყო, მართალია, მაგრამ ისე-კი არა, რომ დაძირულიყო... ეს შეუძლებელია.

— რა მიზეზით შეიძლება დაღუ-პულიყო? ჰკითხა გაზეთის თანამშრო-მელმა,—თქვენ როგორ გგონიათ?

— მიზეზი სამგვარი შეიძლება იყოს. ჯერ ერთი, რეველიდგან ჰელ-სინგფორსამდე უშიშარი სავალი არ არის. იქ ზღვაში ბევრი კლდეებია და თუმცა „რუსალკა“ ღრმად არ იჯდა წყალში, ხოლო ღამე შეიძლე-ბა გზა არეოდა, კლდეს დასჯახებო-და და დაძველებული ძირი შემტვ-რეულიყო, რადგანაც გემი იმნაირ კონსტრუქციისა იყო, რომ კედელი სრულიად არა ჰქონდა და ზღვის ტა-ლღა იატაკსა სცემდა; წყალი ჩავიდა, ამოსხმა ვერ მოასწრეს, წყალმა გე-მი დაამძიმა და დასძირა. მესამე: შე-იძლება მანქანა გაფუჭდა, გემის გვე-რდები დააზიანა, სადმე კლდეებზედ შეაგდო და იქა სდგას, ძალა აღარა აქვს დაიძრას და მშველელს ელო-დება.

— რომელი აზრი უფრო უტყუა-რია?

— მოვიცადოთ, რა ამბავს მოგვი-ტანენ გამოსაკვლევად წასულნი. თუ გემი კარგს ამინდში დაიღუპა, ქონი ამოტივტივდება იმ ადგილას, სადაც დასძირა: მცურავნი ჩაეშვებიან წყალ-ში და მოსძებნიან. დამრჩვალსაც იპო-ვიან სადმე... ტახტები და სკამები ხომ იპოვეს შეკრული, სჩანს, გადა-რჩენასა ცდილან, ხოლო 7° სიცივე-ში ხელ-ფეხი გაეყინათ და წყალში ჩაცვივდნენ. სადაც სხვა-და-სხვა ნი-ვთი იპოვეს, იქ შეიძლება გემიც იპოვონ. მაშინ იმ ადგილას გასინჯ-ვენ და ყოველი ფიქრი და ეჭვი გა-რდაწყდება.

—

Нов. Время თანაუგრძნობს და-ბალ ხარისხის მოხელეთათვის ჯამა-გირების მომატებას, ხოლო ამბობს, რომ მარტო პეტერბურგელ მოხელე-თათვის ჯამაგირის მომატება დიდი უსამართლობა იქმნებაო. თუ ჯამაგირე-ბის დანიშვნის წესის შეცვლაა, ყვე-ლგან უნდა შეიცვალოს ეს წესი და უპირატესობა არ მიეცეს პეტერბუ-რგის მოხელე-ბიუროკრატსაო.

—

ჟურნალისტთა კონფერენციამ ლო-ნდონში დიდი ყურადღება მიიქცია უფრო იმის გამო, რომ ემილ-ზოლა დაესწრო. ზოლა ჰფიქრობდა, იქმნე-ბა ცუდად მიმიღონ ინგლისელებ-მაო, მაგრამ არამც თუ კარგად, ღ-ტაცებითაც-კი მიეგებნენ. იმ საღა-მოს, როცა სიტყვა წარმოსთქვა კო-ნფერენციაზედ, ზოლა მიიპატიჟეს დიდს ნადიმზედ, რომელსაც დაესწ-რო 300 სტუმარი. ზოლა თავის მე-უღლით საპატიო სტუმრებად იყვნენ

---

გრიის და ავსტრალიის მუშებიც ამათ მაგალითს მიჰბაძვენო! ამ გვარად, მრეწველობის ერთის დარგის მუშა-ნი მთელს ქვეყანაზედ ხელს იღებენ სამუშაოზედ და მრეწველობას დიდს საფრთხეში აგდებენ. ეს კიდევ არა-ფერი. ინგლისისა და ბელგიის მუშე-ბმა არეულობა მოახდინეს, რომლის დასამშვიდებლად ჯარიც-კი შეიქმნა საჭირო. ამას მიუმატეთ: დეპუტატ-თა არჩევა გერმანიისა და საფრანგე-თის პარლამენტებში, სადაც მუშა ხა-ლხმა იშვიათი ენერგია და გამოცდი-ლება გამოიჩინა; საერთა-შორისო (ცი-ურიხის) და საერო კონგრესები (იტა-ლიასა, საფრანგეთსა, ბელგიაში და სხვაგან); არეულობანი იტალიისა და ბერნისა (19 ივნისს); მუშათა დღე-სასწაულები გერმანიაში და შვეიცა-რიაში (აგვისტოს) და სხვანი-და-სხვანი და თვენ ნათლად წარმოიდგენთ, თუ როგორის ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ მუშათა საქმე, დემოკრატია და ვის უვარდება ხელში საპოლიტიკო ასპა-რეზი... ასეთია შინაური ამბები ევ-რონისა.

ახლა მივუბრუნდეთ ევროპის სა-გარეო პოლიტიკას. აქაც დიდსა და მრავალ-მნიშვნელოვანს ცვლილებას ვხედავთ.

23 აგვისტოს ელზას-ლორენში და-იწყო ალლუმები იმპერატორის ვილ-ჰელმის თანადასწრებით. რასაკვი-რველია, ეს საფრანგეთს არაფრად ეპაშნიკა. იმ პროვინციებში, რომე-ლიც ერთს დროს საფრანგეთის ნა-წილი იყო, დღეს გერმანელთა ჯა-რი თავისუფლად ჰნავარდობს! ამას ფრანგი ვერასოდეს ვერ შეურიგდე-ბა; ეს იმისათვის დიდი შეურაცხ-ყოფაა; მისი ეროვნული გრძნობა და თავმოყვარეობა ამით იჩაგრე-ბა, ილახება, ფეხ-ქვეშ ითელება. იმ ერს, რომელსაც შეგნებული აქვს თვისი ვინაობა და ისტორიული და-ნიშნულება, ამაზედ მეტად დამამცი-რებელი გარემოება იშვიათად მოევ-ლინება, აქ მისი არსება ნელ-ნელა იხანჯლება და მწუხარება, გულის სიღრმიდან ამოვარდნილი, ისევ უკან ბრუნდება, რომ წყლული უფრო გა-ორკეცდეს და გამწვავდეს.

რა ვქნათ, ამბობდნენ ფრან-გები: ელზას-ლოარენი—ეს ჩვე-ნი სისხლი და ხორცი, დღეს გერმანიას ეკუთვნის და სრუ-ლი უფლებაცა აქვთ, როგორც სურთ ისე მოიქცნენ იქ...

ასეთის გულ-ჩამოუთქმელის კი-ლოთი ლაპარაკობდა ალლუმების შესახებ საფრანგეთის მწერლო-ბა. მაგრამ საქმე სრულიად სხვა-ფერ დატრიალდა, როცა დაინახეს, რომ იტალიის სამეფო ტახტის მემ-კვიდრე, პრინცი ნეაპოლისა, პირად მონაწილეობას იღებს საფრანგეთისა-თვის ასეთს დამამცირებელს საქმე-შიო. ის ვილჰელმთან ერთად ათვა-ლიერებდა ჯარს ელზას-ლორენში. მართალია, იტალია სამთა კავშირს ეკუთვნის და ყოველ შემთხვევაში საფრანგეთის მოწინაალმდეგეა, მაგრამ ფრანგებისთვის ეს ისე საგრძნობელი არ არის, როგორც ნეაპოლის პრი-ნცის დღევანდელი საქციელი. ნე-აპოლის პრინცი ლოტარინგია-ში! — ამას ვერას გზით ვერ შეურიგდება ფრანგები. აქ მან თა-ვი ვეღარ შეიმაგრა და მის გუ-ლიდამ გადმოსკდა ამდენს ხანს დათმენილი მწუხარება და ნაღველი. ერმა წინააღმდეგობა გამოუცხადა იტალიას, ჟურნალ-გაზეთობამ ცუდად მოიხსენია მისი ქცევა.

შეურაცხყოფილი საფრანგეთი გულ-დაწყვეტით შესცქეროდა ელ-ზას-ლოტარინგიის ალლუმებს. თვი-თოეული ფრანგი ჰგრძნობს, რომ დღეს იგი დამცირებულია და გულ-მოკლული. აი ამ დროს გავარდა ხმა: რუსეთის ესკადრა მოდის ტუ-ლონშიო. ამ ამბავმა ელვასავით შე-მოირბინა მთელი საფრანგეთი და ყველას ელექტრონის ნაკადულივით დაუარა ტანში. გაცოცხლდა ერი. მხიარულობამ მოიცვა ქვეყანა. საზო-გადოება, განურჩევლად წოდებისა და მიმართულებისა, ფეხზედ დადგა და ერთის სურვილით განისჭვალა: რაც შეიძლება დიდის პატივისცემით და უხვის მასპინძლობით მივეგებოთ სტუმარსაო. მართლაც ამ საქმისა-თვის შესანიშნავი მზადებაა მთელ საფრანგეთში. ყოველ ქალაქსა და დაბა-სოფელში, მივარდნილსა და მი-ყრუებულ კუთხეში დიდი მოძრაო-ბაა, გაჩაღებული საქმიანობაა. დღე ესკადრის მოსვლისა ($^{1}/_{13}$ ოქტომ.) დაინიშნა დღედ ეროვნულის დღე-სასწაულისა. ეს ხუმრობა არ არის! ამ ნაირ პატივს ერი ანიჭებს მხო-ლოდ დღეს რესპუბლიკის დაარსე-ბისას. შესდგა ქალაქებში კო-მიტეტები, საზოგადოებანი რუ-სის აფიცერთა გამასპინძლებისა-თვის. პირველად, ესკადრა, რასაკვირ-ველია, ტულონში მივა. ამისათვის გზაზედ რამდენსამე ფრანგთა ქალაქს გვერდი უნდა აუაროს. ეს ითაკი-ლეს მცხოვრებლებმა და აი მოდის პეტიცია ქალაქებიდამ, ახლო-მახლო სოფლებიდამ და სთხოვენ, ვისაც ჯერ-არს: ჩვენს ნავთ-სადგურშიაც შეჩერდეს ესკადრაო. პარიჟიდამ, ლი-ონიდამ და მარსელიდამ დელეგაცი-

მიღებულნი და პირველად რომ შევიდნენ დარბაზში, ტაშის ცემა შეიქმნა. ყოველგან ესე თანაგრძნობით მიიღეს. სიტყვას-კი დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია. ლონდონის მწერლობამ ამ სიტყვაში ერთი-მეორის საწინააღმდეგო აზრი იპოვა და ისიც დასძინა, რომ ზოლას რიგიანად არა ჰქონია შესწავლილი ინგლისის მწერლობა.

—

Моск. Вѣд.-ში დაბეჭდილია, რომ ფინლანდიაში კიდევ შეურაცხყოფა მიაყენეს რუსეთის ჯარის კაცთ. საქმე აი ასე ყოფილა. უფროსს ინჟენერ-მეხანიკის თანაშემწე ბოლშაკოვი და ლეიტენანტები ფონ-ტრანზე და სკორუპო 14 ივლისს ქალაქ კოტკას ერთს ყავახანაში შესულან. იქ სრულიად უმიზეზოდ ბოლშაკოვისთვის შეურაცხყობა მიუყენებია ქალაქის ინჟინერს ბორხარდტს, რომელიც მისულა ბოლშაკოვთან. რუსს ხელი უკრავს გულში. მაშინ მიუმართავს საჩივლელად პოლიციელ სტენპერგისთვის, მაგრამ იმასაც სიტყვით შეურაცხყოფა მიუყენებია. გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით ამ საქმის გამოძიებას უკვე შეუდგა ფინლანდიის სენატის პროკურორი. ფინლანდიის პატრიოტული გაზეთები ამ საქმის გამო სწერენ, რომ რუსები ხშირად რწყილს აქლემს აშობინებენო.

—

Гражданинъ-ი იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტების კრებანი დაიწყება 6 ოქტომბერს; პირველი საზოგადო კრება სახელმწიფო საბჭოსი დანიშნულია 18 ოქტომბერს.

## უცხოეთი

თითქმის გადაწყვეტილია, რომ კარნო ტულონს არ წავა რუსეთის ესკადრის დასახვედრად, ხოლო ესკადრის რუსეთში დაბრუნების წინად ინახულებს. პარიჟიდგან დაბრუნებისას რუსეთის ზღვაოსანნი რამდენსამე ხანს დარჩებიან ლიონსა და მარსელში.

—

პარიჟიდგან იწერებიან:

ზოლა რომ დაბრუნდება ლონდონიდგან, დაამთავრებს თავისს ახალს რომანს „ლურდ“. ამ რომანისთვის ზოლამ ლურდშივე შეკრიბა საჭირო ცნობები. ადგილობრივმა სამღვდელოებამ ზოლა ძლიერ თავაზიანად მიიღო, ნება მისცა ყველაფერი თავის თვალით ენახა და სასწაულთ-მოქმედი ემბაზიც-კი აჩვენა და იქვე მწოლარე ავადმყოფნი, რის ნახვასაც არავინ ჰღირსებია სამღვდელოებისა და ექიმების გარდა.

ამ ახალ რომანზედ თვით ზოლა სწერს: რომანი „ლურდ“ სწორედ რომ ვსთქვა, მოთხრობა იქმნება, ხუთ ნაწილად დაყოფილი. შეიძლება თითოეულ ნაწილს დღეები დავარქვა: «პირველი დღე», «მეორე დღე» და სხვ. რომანში სრულებით არ იქმნება აწერილი სიყვარული. რომანის შინაარსი შეეხება იმ ამბავს, რომელიც მოხდა ამ სამი-ოთხი წლის წინად. უმთავრესი ჩემი ყურადღება მიქცეულია ახალგაზდა ქალ ბერნადეტტაზედ. მე ძლიერ მომწონს ეს პაწია ქალი, რომლის თავ-გადასავალიც შევისწავლე სხვა-და-სხვა ქალალდებიდგან.

—

პრეზიდენტი კარნო, სამხედრო მინისტრის ბ-ნ ლუაზილიანის თანადასწრებით კვირას ბრძანდებოდა ბოვეს ჯარის ალლუმზედ და დაახლოვებით შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა აფიცართა მიმართ: „ბატონებო, სთქვა კარნომ: ჩემ მოვალეობად მიმაჩნია გამოგიცხადოთ დიდი მადლობა ალლუმების გამო, რომელმაც დაამტკიცა, რომ ჩვენი ჯარი ჩინებულია. მთელი საფრანგეთი დიდის იმედით შემოგცქერით და მადლობას გიძღვნით. ეს მხნე ჯარი, რომელიც ახალგაზდობისაგან არის შემდგარი, ჩვენს სამშობლოს დიდს იმედს უქადის გამარჯვებისას. საფრანგეთს თამამად შეუძლიან სთქვას ეხლა, რომ იგი მომხრეა მშვიდობიანობისა. მე ყოველთვის გულის ძგერითა და სიხარულით შევსცქერი ჩვენს ჯარს, ამ საუკეთესო სკოლას, სადაც ყველას შეუძლიან ისწავლოს მოვალეობის ასრულება და სამშობლოს სიყვარული. ამ ჯარში ვხედავ მე ერთობას, სხვა-და-სხვა წოდებათა მორიგებას და თანასწორობას მოვალეობის წინაშე. მხოლოდ ერთი აზრით არის გამსჭვალული ყველა: პატიოსნებისა და სამშობლოს ინტერესების დაცვა“.

დასასრულ კარნომა სთქვა: „როგორც პრეზიდენტს რესპუბლიკისას, მოვალეობად მიმაჩნია, მადლობა გამოვუცხადო ჯარსა და ვისურვო მისთვის და მის ღირსეულ უფროსებისთვის მრავალჟამიერ.“

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

Figaro-ში დაბეჭდილია წერილი რუსთ-ფრანგების დღესასწაულების შესახებ. ავტორი წერილისა ამბობს, რომ მომავალ დღესასწაულებს მშვიდობიანი ხასიათი უნდა ჰქონდესო და აფრთხილებს ფრანგებს, მოუფიქრებლად არ მოიქცეთ და ისეთი რამ არ ჩაიდინოთ, რაც ძლიერ საშიში იქმნება საფრანგეთისთვის და არა სასურველი რუსეთისთვისაო. რუსეთი ძლიერ კარგად მოიქცა,—სწერს იგივე გაზეთი,—რომ ესკადრის გამოგზავნა გადასდო იმ დრომდე, ვიდრე პარლამენტის არჩევანები გათავდებოდა, რათა ვერც ერთს ფრანგს ვერ ეთქვა, რუსეთმა გავლენა იქონია არჩევანებზეო. ამიტომ ჩვენც გვმართებს დავაფასოთ ასეთი თავაზიანობა რუსეთისა და არ მივეცეთ მეტ აღტაცებას.

ვიცით, სწერს ავტორი წერილისა, რომ ფრანგების დიდის ხნის დაფარული პატრიოტული გრძნობა შემთხვევას ეძებს თავი იჩინოს, მაგრამ მაინცა და მაინც უნდა ვეცადნეთ, რომ ამ გრძნობის გამოჩენამ უსიამოვნო რამ ამბავი არ დაჰბადოს. ნუ დავივიწყებთ, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენსა, გერმანიასა და იტალიას შორის მშვიდობიანობა არსებობს და თუ ომი გვსურს, უნდა გამოვაცხადოთ, ხოლო ვიდრე არ გამოგვიცხადებია, საქმეს რად ვიპირვებთ.

**

გაზეთ Нов. Время-ში ვკითხულობთ:

უწინ (60 წლებში და ცოტა ადრეც) კავკასიის სომხები სცდილობდნენ გარუსებას, სწავლობდნენ რუსულს ენასა და თავიანთი გვარებიც-კი რუსულ გვარებად გადაკეთეს, მიუმატეს დაბოლოვება „ოვ“ და „ევ“, (მაგალ. მირზოევ, აკოფოვ, სტეფანოვ, ევანგულოვ, მატინოვ და სხ.) ეხლა-კი სულ სხვასა ვხედავთ: სომხები ეხლა სცდილობენ, ყველა რუსული გავდევნოთ, რაც-კი შევითვისეთო და აი მათ გვარებს სომხური დაბოლოვება ეძლევა: „იან“ და „იანც“. ამბობენ, რომ ერთს სომეხს, გვარად ტერ-ტერიანცს, ჯერ თავისი გვარი ტერ-ტეროვად გადაუკეთებია, მერე ტეროვად და ბოლოს პაპოვად (ტერ სომხურად ნიშნავს მღვდელს). მაგრამ ეხლა დრონი იცვალნენ და გვარი პაპოვი ჯერ ტერ-პაპოვად გადაკეთდა და შემდეგ ტერ-პაპოვიანად. იმედია, რომ ცოტა ხანს შემდეგ პაპოვი ისევ ტერ-ტერიანცად გადიქცევა.

**

ბალტიის მხარეს იბეჭდება ერთი გაზეთი Duna Zeitung. ამ გაზეთს ჩამოუთვლია, რომელი გაზეთები უნდა იკითხოს ბალტიის მხარის საზოგადოებამაო და მის მიერ მოყვანილ სიიდგანა სჩანს, საჭიროა ისეთი გაზეთები ვიკითხოთ, რომელნიც გამსჭვალულნი არიან გერმანიის სახელმწიფო იდეისა და გერმანიის სახელმწიფო მოღვაწეთა სიყვარულით. ამ სიტყვებს გაზეთი Нов. Время დასძენს: ნეტა რა საჭიროა ყველა ეს ბალტიის მხარეს მცხოვრებთათვის, რომელნიც, თუმცა შთამომავლობით გერმანელნი არიან, მაგრამ რუსებიკი უნდა იყვნენ. გერმანიის სახელმწიფოს სიყვარულით გამსჭვალულნი გაზეთები ხომ წინაალმდეგნი უნდა იყვნენ რუსეთისაო.

### უცხოეთის წვრილი ამბავი

სრული პროგრამმა დღესასწაულებისა, რომელსაც გამართავს პარიჟის საბჭო, შემდეგია: 1) მიწვევა რუსეთის ზღვაოსანთა პარიჟში საგანგებო დელეგაციის შუამავლობით, რომელიც ტულონს გაიგზავნება; 2) პარიჟში რუსეთის ზღვაოსანთ დაუხვდება მთელი საბჭო. 3) დათვალიერება პარიჟისა; 4) დღესასწაული Hôtel de Ville-ში და 5) საჩუქრების დარიგება. Hôtel de Ville-ში პირველ დღეს გაიმართება: ოფიციალური ნადიმი, კონცერტი და კორტეჟი მაშხალებით. მეორე დღეს საუზმე, ბალი და კონცერტი. ამ დღესასწაულებზედ მოსაწვევ ბარათებს გაჰგზავნის თვით საბჭო პარიჟისა. გარდა ამისა გადაწყვეტილია, რომ ის სახლი, რომელშიაც ტურგენევი იდგა, შეამკონ მარმარილოს ფიცრით რომელსაც შესაფერი ზედ-წარწერა ექმნება. საფრანგეთის ქალთა-მიერ მირთმეული იქმნება რუსეთის ესკადრის აფიცერთა ნათესავ ქალთათვის საჩუქრებად ოქროს სამაჯურები, მედალიონებით. მედალიონის ერთს მხარეს ორი გერბი იქმნება ამოჭრილი, ზედ-წარწერით: „კრონშტადტ“ 1891 წ. რუსულად და ‹Toulon 1893 წ.› ფრანგულად. მედალიონის მეორე მხარეს იქმნება ზედ-წარწერა: „სასხოვრად ფრანგ ქალებისაგან.“

**

რუსეთის ზღვაოსანთა პატივსაცემლად ბანკეტზედ, რომელსაც ჟურნალ-გაზეთების კომიტეტი გაჰმართავს, მოწვეულ იქმნებიან საფრანგეთის ყველა დეპარტამენტების საბჭოთა პრეზიდენტები.

**

ტულონის საბჭო აკეთებს ორას ფიალას. მათ შორის ერთი ოქროსი იქმნება—ადმირალ აველანისთვის, ათი მკელი ვერცხლის უფროს აფიცრებისთვის და დანარჩენი ვერცხლისა—ესკადრის უნცროსს აფიცრებისთვის. ფიალა წარმოადგენს შუაზედ გაჭრილს ყუმბარას, რომელიც დევს სამ თოფის ლულაზედ. ფიალას შუა გულში ამოჭრილია ტულონის სახე.

**

ჟენევის უმთავრესს საბჭოს მიუვიდა თხოვნა შესახებ იმისა, რომ ყოველ გვარი საშუალება იქმნას მიღებული ქმრიან ქალთა ბედ-იღბლის განსაკარგებლად. ამ თხოვნაში მოხსენებულია, რომ გათხოვილ ქალს უფლება ჰქონდეს თავის სურვილისამებრ მოიხმაროს თავისი ქონება და, თუ ვინიცობაა ქმარმა თავისი მოვალეობა არ შეასრულა ოჯახის წინაშე, უფლება ჰქონდეს სასამართლოს საშუალებით თავისი წილი მოითხოვოს ქმრის ჯამაგირიდგან. ამ თხოვნას შვეიცარიის მრავალ კანტონებში ძლიერ თანაუგრძნობენ თურმე.

### გამოსადეგი ცნობანი

ცეცხლ მოუკიდებელი ქსოვილი. ბევრს სცდილობდნენ ისეთი საშუალება მოეგონათ, რომ ქსოვილს ცეცხლი არ მოჰკიდებოდა. საფრანგეთის ცეცხლის მქრობელ რაზმის კომისიამ შემდეგი წამალი მოიგონა: უნდა გაიხსნას 23½ მისხალი ფოსფორ-ამონას მარილი ერთ შტოფის ორ მესამედ წყალში და შიგ ამოვლებულ იქმნას ფარჩა-ქსოვილი. შემდეგ ამ ქსოვილს ცეცხლი აღარ მოეკარება.

---

...ები უნდა იქმნან გაგზავნილნი მათთვის ძვირფას სტუმართა მოსაწვევად. ტულონში გამართული იქმნება ეგრედ-წოდებული სახალხო დღესასწაული (fêtes populairs), რომელსაც დაესწრება თითქმის მთელი დეპარტამენტი; დაესწრებიან აგრეთვე სხვა-და-სხვა ქალაქის წარმომადგენელნი და მრავალნი უცხოელნი. მაგრამ ყველაზედ უფრო საინტერესო ამბები იქმნება პარიჟში. აქ დაარსდა კომიტეტები ქალაქის თვით-მმართველობისა, ჟურნალ-გაზეთობისა, მშვენიერთა სქესისა და სხვ. დეპარტამენტში გაჩაღებულ იქმნება სასოფლო დღესასწაულები (kermesse), დაინიშნება საგანგებო მატარებლები და იაფად ატარებენ ხალხს და სხვ. და სხვ. ერთის სიტყვით, ამბობენ, ამოდენა მზადება საფრანგეთში ჯერ არავითარ შემთხვევისთვის არ ყოფილაო. რამდენ ჯილდოს და საჩუქრებს მიიღებენ ესკადრის ადმირალი, აფიცრები და უბრალო მეზღვაურნიც-კი! მთელ საფრანგეთში ხელის მოწერაა გამართული, რომ ყველას რაიმე ძვირფასი სახსოვარი მიართვან ზედ წარწერით: „კრონშტად-ტულონი.“ თვით ადმირალს, ვინ იცის, რამდენს საჩუქარს არ უმზადებენ!.. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ საფრანგეთი დიდ ფაცა-ფუცშია, წარმოუდგენელ აღტაცებაშია. ყველგან ისეთი თანაგრძნობა სუფევს რუსეთისადმი, რომ ვინც რუსეთის წინააღმდეგს იტყვის რასმე, სამშობლოს მოღალატედ ჩასთვლიან. შეიძლება იფიქროთ, ყოველივე ეგ მთავრობის საქმე იქმნება და არა თვით ხალხისაო. მაგრამ ძლიერ შესცდებით. საქმე იმაშია, რომ აქ მთავრობა არც-კი სჩანს, მისი საქმე და მოქმედება დაჩრდილულია ერის მოძრაობით, კერძო საზოგადოებათა და ჟურნალ-გაზეთობის თაოსნობით. ერის სურვილმა წინ გაუსწრო მთავრობას. რა არის აქ საკვირველი? სრულიად არაფერი. რუსეთის ესკადრა მოდის სწორედ იმ დროს, როცა გერმანიის იმპერატორმა და იტალიის მემკვიდრე პრინცმა შეურაცხ ჰყვეს საფრანგეთი. აი სად იმალება მიზეზი ერის ისეთის გადაჭარბებულის მზადებისა. დიაღ, ტირილსა და სიცილის შორის ერთი ნაბიჯი ყოფილა!..

ახლა ვიკითხოთ, რა მნიშვნელობა აქვს რუსეთის ესკადრის მოსვლას ევროპის პოლიტიკისათვის?

1 (13) ოქტომბერს ხმელთა-შუა ზღვაში რუსეთის ესკადრა თავისუფლად დაიწყებს სიარულს. ამ ამბავმა დააფრთხო მთელი ევროპა. რუსეთის ფლოტის მანიფესტაცია ტულონის ახლოს—შესანიშავი გარემოებაო, ამბობს ყველა. გაჰქრა ის დრო, როცა ინგლისი და საფრანგეთი ყირიმთან იბრძოდენ იმისთვის, რომ ხმელთა-შუა ზღვისაკენ რუსეთი არ გამოეშვათ. ამ ამბავმა ძლიერ შეარყია სამთა-კავშირი და დააფიქრა რუსეთის მუდმივი მტერი—ინგლისი. ინგლისი აქამდე არ ერეოდა საქმეში, ნეიტრალიტეტს რჩეობდა, არც რუს-ფრანგებს ეწინააღმდეგებოდა, არც სამთა-კავშირს ემხრობოდა. მაგრამ ახლა ველარ მოითმინა, გულში ჩამარხული სიძულვილი რუსეთისადმი გამოაშკარავა, მისი იდუმალი სურვილი თვალ-საჩინო შეიქმნა: რუსეთის ესკადრის მანიფესტრაციას თავის ესკადრის მანიფესტაცია დაუპირდაპირა. ამისათვის ჰგზავნის ხომალდებს ნეაპოლში. ცხადია, ინგლისის ნეიტრალიტეტი შეირყა, ინგლისის პოლიტიკის სასწორი სამთა-კავშირისაკენ გადიხარა. ამ გზასვე დაადგა შვეცია (თუმცა რუსეთის გაზეთები ამას უარ ყოფენ). სტამბოლი ხომ ერთი ინგლისელ დიპლომატის სიტყვით, არასოდეს არ გადაუდგება ლონდონს.

ამ სახით, ერთის მხრით ემზადება საფრანგეთი რუსეთის ესკადრის მისაღებად, მეორეს მხრით—იტალია, ავსტრია და გერმანია ინგლისის ფლოტის დასახვედრად. ერთისთვის მანიფესტაციის შუაგულია ტულონი, მეორისთვის—ნეაპოლი. ერთგან დღესასწაულებს მართავს ორთა-კავშირი, მეორეგან—კავშირი ოთხთა.

ასე თუ ისე, ამ ჟამად ჩვენ მოწამევართ შესანიშნავის ამბებისა, საყურადღებო ცვლილებისა ევროპაში. სახელმწიფოთა შინაური მდგომარეობის აწეწ-დაწეწა, მუშათა გაფიცვა და არეულობანი, ევროპის კოალიცია რუსეთ-საფრანგეთის წინააღმდეგ—აი ფაქტები დღევანდელის დღისა. უმრავლესობა ლუკმა პურისთვის იბრძვის, სიმშილითა და სიღარიბით შეწუხებული და იმავე დროს მილიონობით იხარჯება მხედრობის სავარჯიშოდ და გასაძლიერებლად—აი სახე დღევანდელის საშინაო და საგარეო პოლიტიკისა! შინ სისუსტე და რყევა, გარეთ ძალა და მედიდურობა—აი სურათი დასავლეთ ევროპისა. აშკარაა, ევროპა უცნაურსა და მოჯადოვებულს წრეში ტრიალებს, საშინელს ბადეშია გაბმული და შიგ უზარმაზარის ვეშაპივით ჰბორგავს, ფანთხალობს. სად არის ხსნა ამ გარემოებაში? აი რას ჩაჰფიქრებია დღეს ყოველი ბრძენი და ამისთანა რთულ საქმეთა გულ-დამშვიდებული მკვლევარი.

საზღვარ-გარეთელი

# დეპეშა

20 სექტემბერი.

**პარიჟი.** საფრანგეთის ორი კრეისერი Jsly და Surcouf მიდიან ჩრდილოეთის ზღვაზე და ბალტიის ზღვამდე მივლენ. ეს გემები გამოიანგარიშებენ მანძილს ნავთ-სადგურთა შორის და შეივლიან კოპენჰაგენი, რათა სალამი მიართვან რუსეთის იმპერატორს.

**ლონდონი.** საფრანგეთის ელჩმა აიძულა სიამი რომ პირობის ქაღალდზედ ხელი მოეწერა

21 სექტემბერი

**პეტერბურგი.** Бирж. Вѣд. იუწყება, რომ საბაჟო კონფერენციის მოლაპარაკება რუსეთ-გერმანიის დელეგატებისა, რუსეთის დელეგატების წინადადებით, საიდუმლო უნდა იყოს კონფერენციის გათავებამდე.

პეტერბურგის ბირჟა, 21 სექტ.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაურიგე-ბისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7.62 | 7,66 | — ,, |
| ჯვამოგების კუპონები | 152 1/4 | 153 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 240 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 217 |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 192 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . | — ,, | 100 1/2 | — ,, |
| 5°/₀. . . . . | — ,, | 100 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | 100 | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97 3/4 | — ,, | — ,, |

### „ივერიის“ ფოსტა

**ა—ს. ი. ა—ლს.** მესამე ფელეტონის ბოლო არა სჩანს, მე-19 გვერდია და დანარჩენი, ერთი თუ ორი ფურცელი, აკლია, იქ, საცა სოფ. არაგვზეა ლაპარაკი. გამოგვიგზავნეთ.

### გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. სად.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . . 5 ს. 50 წ. სად.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. სად.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალ-

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და საალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში. ფე ახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

—

# განცხადებანი

კავკასიის საიდენტანტო გამგეობა იწვევს იჯარადარს, რომელმაც ტფილისის ნივთთა საწყობში 1894 წლის განმავლობაში შემდეგი მასალა უნდა მიიტანოს: 1817 შუათანა სიდიდის ხის ყუთი, 128 ამნაირივე პატარა ყუთი და 14 საფოსტო ყუთი; 154,868 საჟენი ბაწარი ძაფი და 93,396 საჟ. თოკი 1162 არშინი სხვილი ტილო.

ვაჭრობა დანიშნულია საინტენდანტო გამგეობაში 8 ოქტომბერს 1893 წელს, განუმეორებლად. მსურველთ შეუძლიანთ სიტყვით ივაჭრონ ანუ დაბეჭდილი განცხადება წარადგინონ შუადღემდე (Кавказъ №251).

—

იმავე გამგეობაში 8 ოქტომბერს დანიშნულია კიდევ ვაჭრობა ხორბლეულისა. 189³/₄ წლის განმავლობაში წარდგენილ უნდა იქმნეს სასურსათო მაღაზიებში: ტფილისისაში—11,000 ფუთი, გუმბრში—17000 ფ. და ახალციხისაში—5,500 ფუთი ჰირნახული. (Кавказъ, № 251).

—

კავკასიის სამხედრო საინჟინერო გამგეობაში 4 ოქტომბერს ამ 1893 წლისა დანიშნულია ვაჭრობა სიტყვიერი და დაბეჭდილის განცხადებითაც, განუმეორებლად. იჯარით უნდა გაიცეს ციხე მიხაილოვსკის № IV ფორტის მოსაგერებელი სამუშაო. ხარჯთ-აღრიცხვით ამ საქმისთვის გადადებულია 7,596 მანათი. (Кавказъ № 251).

—

18 ოქტომბერს ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოში 1893 წლისა დანიშნულია ვაჭრობა განმეორებით მესამე დღეს, სიტყვიერი და დაბეჭდილ განცხადებითაც- იჯარადარმა უნდა შეასწოროს სამხედრო—იმერეთის გზა ტფილისის ქუჩიდგან ქ. ქუთაისში 1¹/₂ ვერსის მანძილზედ, რისთვისაც გადადებულია 7,177 მან 26 კაპ (Кавказъ № 251)

ЧИСТКА и ГИГІЕНА ЗУБОВЪ
ЗУБНЫЯ СРЕДСТВА
ЗУБНАГО ВРАЧА
А. ДЭЛЬГЭЙМЪ
МОСКВА, КУЗНЕЦКІЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ
СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ
ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.

## კბილის ექიმი

## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—102)

თესლი აბრეშუმის ჭიისა

### ძმათა პასხალიდებისა

ბრუსსაში (ოსმ.-ლეთი)

ნოემბრის დამლევს მივიღებთ გასასყიდად ცელულიარნი გრენა ძმ. პასხალიდებისას.

მიმართეთ ტფილისში **როდოკონაკის** სააგენტოს, სასახლის ქუჩა, ქარვასლა ტფ. სათ.-აზნ. ბანკისა № 128, აგრეთვე კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას.

(4—966—4)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| ბაგრატ IV მისივე . . . | „ | 20 |
| ვახტანგ VI მისივე . . | „ | 15 |
| მითრიდატ დიდი, პონტის მეფე, მისივე . . . | „ | 10 |
| მირიან მეფე და წმ. ნინო, მისივე . . . . . | „ | 10 |
| ქართველი ქალები, მისივე . | „ | 10 |
| სამი ისტორიული ქრონიკა, ე. თაყაიშვილისა . . | 1 | „ |
| წმ. ნინოს ცხოვრება, მისივე | „ | 40 |
| რმოლა საქართველოს მოსასპობლად, ანუ გიორგი სააკაძე, ან. ფურცელაძისა . . . . . . | 1 | 20 |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| თამარ-მეფე, დ. კარიჭაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| გუჯრები, ალ. ხახანაშვილისა . . . . . | „ | 50 |
| ასპინძის ომი, ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 10 |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა I ნაწ. სამცხე, გამოც. მ. ჯანაშვილისა . | „ | 25 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა . . . . . | „ | 20 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა, მისივე . . . . . | „ | 50 |
| მეგლის დება, მისივე . . | „ | 25 |
| მოკლე საყოველთაო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა . . . . . . | 1 | „ |
| საქართველოს საეკკლესიო ისტორია მ. ჯანაშვილისა | „ | 45 |

**წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა** აცხადებს, რომ **დაიცალა** დიდითონეთის სასოფლო სკოლის **მასწავლებლის** ადგილი და, ვისაც სურს ამ ადგილზე განწესება, უნდა გამოგზანოს თხოვნა გამგეობის სახელობაზე. მასწავლებელს ეძლევა ოცდა-ათი თუმანი ჯამაგირი, ბინა საცხოვრებლად და შეშა.

(5—3)

## გამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10¹/₂ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

**ი. ფ პროტასევიჩი**, 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურ ს, ყელის და ცხვირისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

**ი. გ. ჩეპურკოვსკი**, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. ა. გადომსკი**, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7¹/₂ საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი**, 7¹/₂—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



**VÉRITABLE BÉNÉDICTINE**

(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტნი)

Fécamp-ის საბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უველაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Etranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

**ისყიდება** საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში დ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

## სავაჭრო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელი მეთორმეტე

კურსებისს დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შეძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და მშოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მაიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—21)

## პანსიონი ტერ-აკოფოვისა

გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის ოთხის კლასის კურსით

ვადავიდა განოვის ქუჩაზედ, № 11, საკუთარი სახლი

იღებს შეგირდებს მოსამზადებლად **გიმნაზიებსა, რეალურ სასწავლებლებსა და კადეტთა კორპუსებში** მეოთხე კლასამდე, **მიწის მზომელთა და იუნკრების სასწავლებლებში** მისაღებად.

პანსიონთან არის საყმაწვილო ბაღი.

პანსიონში ასწავლიან გიმნაზიის მასწავლებლები.

(8—950—7)

Доз. ценз. Тифлисъ, 22-го Сентября 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**